ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის ,,ჰორიზონტი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497)
დამფუძნებელთა სხდომის

ოქმი N 4

ქ. თბილისი 2017 წლის 07 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის ,,ჰორიზონტი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497) დამფუძნებლები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (ს/კ 202051224) - წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის (პ/ნ 01026004683) სახით,

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (ს/კ 211325653) - წარმოდგენილი იურიდიული სამსახურის უფროსის ლილე ჩხეტიანის (პ/ნ 15001002438) სახით.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის ,,ჰორიზონტის" (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497) მიერ წარმოდგენილი 2017 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის დამტკიცება;
2. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 211325653) ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის ,,ჰორიზონტი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497) დამფუძნებელთა რიგებიდან გასვლა;
3. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის ,,ჰორიზონტი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497) წესდებაში ცვლილების შეტანა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, დამფუძნებლებმა ერთხმად დაადგინეს:

1. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის ,,ჰორიზონტი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497) 2017 წლის 06 დეკემბრის N1488251 კორესპონდენციით წარმოდგენილი დაზუსტებული 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდეს ამ ოქმის დანართის შესაბამისად;

2. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის ,,ჰორიზონტი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497) დამფუძნებელთა რიგებიდან გავიდეს ა(ა)იპ - ,,საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 211325653) და ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის ,,ჰორიზონტი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497) დამფუძნებლად განისაზღვროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

3. შეტანილ იქნეს ცვლილება ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის ,,ჰორიზონტი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497) წესდებაში და წესდების:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პროფესიული კოლეჯი ,,ჰორიზონტი" (შემდგომში - ,,კოლეჯი") წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ)

იურიდიულ პირს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის დამფუძნებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში - დამფუძნებელი)";

ბ) მე-3 მუხლი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კოლეჯის მართვის ორგანოა კოლეჯის დირექტორი. კოლეჯის დირექტორს ნიშნავს და აშორებს უფლებას დამფუძნებელი";

დ) მე-5 მუხლის:

დ.ა) „გ" და „დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის შინაგანაწესს;

დ) დამფუძნებელს შესათანხმებლად წარუდგენს სამტატო განრიგს და ხელფასის ფონდს";

დ.ბ) „ზ" და „თ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) არაუგვიანეს პირველი თებერვლისა, გაცნობის მიზნით აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს დამფუძნებელს კოლეჯის საგანმანათლებლო, ფინანსური და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ;

თ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, ხოლო ისეთ გარიგებებს, რომელთა ღირებულებაც აღემატება კოლეჯის ბიუჯეტის 5%-ს, დებს კოლეჯის დამფუძნებლის თანხმობით";

დ.გ) „ლ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ" ქვეპუნქტი:

„მ) ამტკიცებს კოლეჯის ბიუჯეტსა და პროგრამებს";

ე) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. კოლეჯის დამფუძნებელი

კოლეჯის დამფუძნებელი:

ა) ზედამხედველობს კოლეჯის დირექტორის საქმიანობას.

ბ) თანხმობას აძლევს კოლეჯის დირექტორს ძირითადი სტრუქტურული ერთეულების შექმნაზე და გაუქმებაზე;

გ) ახორციელებს კოლეჯის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლს;

დ) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას ქონების შეძენასა და გასხვისებაზე;

ე) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას სესხის აღებაზე;

ვ) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას თავდებობაზე;

ზ) ითანხმებს კოლეჯის დირექტორის მიერ წარმოდგენილ სამტატო განრიგისა და ხელფასის ფონდს;

თ) აძლევს თანხმობას კოლეჯის დირექტორს ისეთი გარიგებების დადებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება კოლეჯის ბიუჯეტის 5%-ს;

ი) ითანხმებს სხვა გადაწყვეტილებებს დაკავშირებულს კოლეჯის ქონებასთან, თუ ისინი სცილდება ამ წესდების მე-5 მუხლის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

კ) უფლებამოსილია, შეაჩეროს ან გააუქმოს კოლეჯის არამართლზომიერი გადაწყვეტილება";

ვ) მე-7 მუხლი ამოღებულ იქნეს;

ზ) მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 10. კოლეჯის წესდებაში ცვლილების შეტანა

კოლეჯის წესდებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მინისტრის პირველი მოადგილე

ქეთევან ნატრიაშვილი

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

იურიდიული სამსახურის უფროსი

ლილე ჩხეტიანი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ფურცელი №140
თარიღი 07 [illegible] 2017 წ.
[illegible]